ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8049252

ნომერი: AR11154007

თარიღი : 24.07.2026

გაცემის თარიღი : 18.08.2026

გაცნობის თარიღი : 24.08.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა რეკონსტრუქცია

ველში სახელწოდებით „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის pdf ფაილი“ ატვირთულია ფიზიკური პირების განცხადება, რომლებზეც ხელმოწერების ნამდვილობა არ არის დამოწმებული სანოტარო წესით, მითითებული არ არის მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები, არ არის განმარტებული ხაზობრივი ნაგებობის ნიშან-მახასიათებლები და აღნიშნული განცხადებები არ წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების ოქმების შემცვლელ დოკუმენტებს.

წარმოდგენილია 2025 წლის 06 აგვისტოთი დათარიღებული შპს „თბილისი ენერჯის“ № 02-13-194692-25 წერილი, რომელიც არის საინფორმაციო ხასიათი, ჩამოთვლილია სავალდებულოდ შესასრულებელი პირობები და მასში სხვა დანარჩენთან პირდაპირაა მითითებული, რომ „აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე კომპანია სამშენებლო სამუშაოებს შეითანხმებს და გენგეგმას დაამოწმებს თქვენი მხრიდან შემდეგი მოთხოვნის შესრულების შემდგომ...“ და „დაინტერესებული პირის მიერ საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების სრულად ანაზღაურების,

ხელშეკრულების გაფორმების და საჭიროებისამებრ, სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელი ნებართვების (მუნიციპალიტეტის მერია, კერძო მესაკუთრე) მოპოვების შემთხვევაში, კომპანია მზად არის განახორციელოს აღნიშნული სამუშაოები“ (ნაწილობრივი ციტირების დასასრული, სტილი დაცულია უცვლელად).

წარმოდგენილია 2026 წლის 19 ივნისით დათარიღებული შპს „თბილისი ენერჯის“ №01-13-148944-26 წერილი, რომელიც არის საინფორმაციო ხასიათის, ჩამოთვლილია სავალდებულოდ შესასრულებელი პირობები და არ წარმოადგენს სამუშაოების განხორციელებაზე გაცემულ საბოლოო თანხმობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ დამატებით წარმოსადგენია:

- სარეკონსტრუქციოდ მოთხოვნილი ნაგებობის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
- განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე: ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო ნაგებობის შესაბამისი კონკრეტული ტრაექტორია/ადგილმდებარეობა (ან წარმოსადგენია ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
- არსებული სიტუაციის ფოტოსურათები: წარმოსადგენია დღეის მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები (დათარიღებული);
- ნამდვილად N01.19.20.002.025 მიწის ნაკვეთზე მოქმედი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 100 პროცენტის დასწრება-მონაწილეობით ჩატარებული კრების ამსახველი წერილობითი ოქმი - მასზედ ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმებით, რომელშიც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 100 პროცენტის დადებითი ნებელობა ცალსახად უნდა იქნეს გამოხატული მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „ავერსი კლინიკას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 212002580) მოთხოვნა და წერილობით დაადასტუროს პირველი კლასის ნიშან-მახასიათლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობა, ანუ გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი ლუკა ჩაგანავას (პირადი N01017043074) მიერ NAR11154007 განცხადებით).
- ნამდვილად N01.19.20.002.087 მიწის ნაკვეთზე მოქმედი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 100 პროცენტის დასწრება-მონაწილეობით ჩატარებული კრების ამსახველი წერილობითი ოქმი - მასზედ ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმებით, რომელშიც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 100 პროცენტის დადებითი ნებელობა ცალსახად უნდა იქნეს გამოხატული მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „ავერსი კლინიკას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 212002580) მოთხოვნა და წერილობით დაადასტუროს პირველი კლასის ნიშან-მახასიათლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობა, ანუ გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი ლუკა ჩაგანავას (პირადი N01017043074) მიერ NAR11154007 განცხადებით).
- შპს „თბილისი ენერჯის“ უფლებამოსილი პირის მიერ წერილობით გაცემული საბოლოო თანხმობა მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „ავერსი კლინიკას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 212002580) მოთხოვნა და წერილობით დაადასტუროს პირველი კლასის ნიშან-მახასიათლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობა, ანუ გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი ლუკა ჩაგანავას (პირადი N01017043074) მიერ NAR11154007 განცხადებით).
- სს „თელასის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202052580) უფლებამოსილი პირის მიერ წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.
07:11:54 query returned open=false

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.